



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011734839199821

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

126613

24 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომბაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 137113/17; თარიღი: 23.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი: ნაირა იაშალაშვილი (პირადი ნომერი 01025019016).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამომცემი ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები: სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ №882020304334-07 (30.09.2020 წ.) და რეგისტრაციის შესახებ №902019932276-11 (22.04.2020 წ.) გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ადმინისტრაციულ წარმომბაში დაინტერესებულ მხარედ ჩართული პირები: ვალერი ვადაჭკორია (პირადი ნომერი 12001053713), გიორგი ვადაჭკორია (პირადი ნომერი 01017043384), ლიზა ვადაჭკორია (პირადი ნომერი 01017040101) და მაია მელიქიშვილი (პირადი ნომერი 12001044411).

უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა.

№137113/17 (23.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმომბაში მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

2020 წლის 12 ივნისს ნაირა იაშალაშვილმა (პირადი ნომერი 01025019016) №882020304334 სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს და მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე 909 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

№ 882020304334 განცხადებასთან დაკავშირებით მიმდინარე სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში, დადგინდა ზედდება 81.02.28.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებთან. საჯარო რეესტრის მონაცემებით, 81.02.28.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები არიან ვალერი ვადაჭკორია (პირადი ნომერი 12001053713), გიორგი ვადაჭკორია (პირადი ნომერი 01017043384), ლიზა ვადაჭკორია (პირადი ნომერი 01017040101) და მაია მელიქიშვილი (პირადი ნომერი 12001044411).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმომბაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმომბაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის

გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.


ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ნაირა იაშალაშვილის (პირადი ნომერი 01025019016) №137113/17 (23.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი;
2. №137113/17 (23.03.2021 წ.) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნენ ვალერი ვადაჭკორია (პირადი ნომერი 12001053713), გიორგი ვადაჭკორია (პირადი ნომერი 01017043384), ლიზა ვადაჭკორია (პირადი ნომერი 01017040101) და მაია მელიქიშვილი (პირადი ნომერი 12001044411);
3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირებს;
4. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლსა (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
6. წინამდებარე გადაწყვეტილება, ასევე, საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგვდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევიძე